ყველა დაინტერესებული მხარის ხელმძღვანელობა ინტენსიურ კონტაქტებს ამყარებს. ამასთან ერთად, ამერიკის პრეზიდენტის სპეციალური წარმომადგენლის ფ. ჰაბიბის მეშვეობით ცდილობენ მიაღწიონ ლიბანელი და პალესტინელი ხალხების კაპიტულაციას. ვაშინგტონის ემისარი მოიბრძანებს ზოგიერთი წარმატების მოპოვება. კერძოდ, ეს ეისახა ლიბანის ხელისუფალთა პოზიციაში, რომელნიც თანდათანობით უთმობენ ისრაელის მოთხოვნებს. ლიბანის ეროვნულ-პატრიოტული ძალების ცენტრალური პოლიტიკური საბჭოს თავმჯდომარემ ვალიდ ჯუმბლათმა თავის განცხადებაში ამასთან დაკავშირებით ახლანდელი ცენტრალური ხელისუფლება შეადარა იმ ორგანოებს, რომლებიც მოქმედებენ ისრაელის სამხედრო ხელისუფალთა კონტროლით. პალესტინის წინააღმდეგობის მოძრაობის — ეროვნულ-პატრიოტული ძალების ხელმძღვანელობა მნიშვნელოვან მოქნილობას იჩენს, როცა აყენებს ცეცხლის საბოლოო შეწყვეტის სულ ახალ ვარიანტებსა და პირობებს. მაგრამ იგი აღნიშნავს, რომ არავითარ შემთხვევაში დარაღს არ დაყრის ისრაელ-ამერიკის დიქტატის წინაშე. პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციის აღმასკომის თავმჯდომარემ ა. არაფატმა წერილით მიმართა პალესტინელ და ლიბანელ მებრძოლებს, რომელშიც ადასტურებს, რომ გადაწყვეტილი აქვთ განგრძონ ბრძოლა, სანამ პალესტინის არაბი ხალხი არ მიიღწევს თავისი კანონიერი უფლებების მთლიან განხორციელებას. ბეირუთში გიმართა პალესტინის ხელმძღვანელობის სხდომა, რომელზედაც განიხილეს სამარი მდგომარეობა ყველა ფრონტზე და მიიღეს მთელი რიგი ღონისძიებანი, რომელთა მიზანია ინტერვენტებისათვის საკადრისი პასუხის გაცემის გაძლიერება, განიხილეს აგრეთვე ტელ-ავივის მიერ გაჩაღებული ფსიქოლოგიური ომის საწინააღმდეგო მეთოდები.

როგორც ეაფის საააგენტო იუწყება, სხდომის მონაწილეებმა ხაოს მოუწოდეს შეინარჩუნონ სიფხიზლე და საბრძოლო მზადყოფნა, კვლავ უარყვეს ვაშინგტონისა და ტელ-ავივის მიერ წამოყენებული კაპიტულანტური პირობები.

● ᲕᲬᲘᲪᲐᲠᲘᲐ

ᲨᲔᲛᲬᲘᲜᲐᲕᲘ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐᲡᲗᲐᲜ

ᲕᲐᲠᲨᲐᲕᲐ. პოლონეთის გაზეთები აქვეყნებენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ინფორმაციის საკითხთა კომიტეტის სესიაზე პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის დელეგაციის განცხადებას. მასში ნათქვამია, რომ პოლონეთი კვლავ არის აგრესიული პრობაგანდისტული კამპანიის ობიექტი, რომელსაც ეწევა დასავლეთის ხუთი რადიოსადგური, განსაკუთრებით ეგრეთ წოდებული „თავისუფალი ევროპა“. პოლონეთის ხელისუფალთ, აღნიშნულია დოკუმენტში, აქვთ ომის მტკიცებულებანი, რომ ამ რადიოცენტრების გადაცემები ირღვევენ საერთაშორისო სამართლის ძირითად პრინციპებს და მიზნად ისახავენ პროვოკაციულად გამოიწვიონ უწესრიგობა.

ცხოვრება ბევრ სიძნელეს წარმოშობს, წერს გაზეთი „ეოლნენე ვოლნოსტი“. შინაურ და გარეშე მოწინააღმდეგეებს უარი არ უთქვამთ თავიანთ განზრახვებზე და კვლავ ცდილობენ პოლონეთში მდგომარეობის პოლიტიკურ და ეკონომიკურ დესტაბილიზაციას. ამ დარგში განსაკუთრებულ აქტიურობას იჩენენ ამერიკის შეერთებული შტატები და ნატოელი მოკავშირენი. ეკონომიკური ბლოკადა, რომელსაც ისინი აზორციელებენ, მიმართულია მთელი პოლონეთის სოზოგადოების, თითოეული პოლონური ოჯახის წინააღმდეგ.

დასავლეთის ზოგიერთი სახელმწიფოს სპეციალურმა სამსახურებმა მკვეთრად გააძლიერეს ანტიპოლონური საქმიანობა. შექმნილია დივერსიული სკოლები, სადაც დაქირავებულ აგენტებს საბოტაჟის მეთოდებს ასწავლიან. ძირგამამთხრელი მიზნებით იყენებენ „დახმარებას“, რომელიც დასავლეთიდან სზეადასხვა არხით იგზავნება.

შინაური ოპოზიციის ცენტრს „კო-კორის“ ყოფილი აქტივისტები წარმოადგენენ, წერს „ეოლნენე ვოლნოსტი“. ისინი მოუწოდებენ ბოიკოტი გამოუცხადონ ყოველგვარ თანამშრომლობას პარტიასთან, მთავრობასთან და ეროვნულ ხსნის სამხედრო საბჭოსთან. ამ წრეებში ადგენენ საყოველთაო გაფიცვას გეგმებს, ავრცელებენ შეიარაღებული აჯანყების იდეებს.

სახალხო პოლონეთის მტრები ცდილობენ იმპერიალისტური საგაზეთეო ცენტრების მხარდაჭერით შექმნან კოსმპირაციული ორტაკვეშა აჯრედები, რომელთა წინაშე დასახულია ამოცანა გაერთიანონ საზოგადოებრივი წესრიგის დამრღვევები და სათავეში ჩაუდგნენ მათ გამოსვლებს.

ანტისოციალისტური აგიტატორების, აგრეთვე რადიოსადგურ „თავისუფალი ევროპისა“ და სხვა „რადიოსმბების“ გადაცემების გავლენით პოლონეთის მთელ რიგ ქალაქებში მოსა-ინანშნა აფიშნშნა დაესაფსული გამოსვლები, რომელებშიც მონაწილეობენ უმთავრესად უმუშაოები, თითოეული პოლონური ოჯახის საშოალო სოლენის მოსწავლეები, სტუდენტები.

პოლონეთის მასობრივი ინფორმაციის საშუალებებმა გაავრცელეს კრაკოვში სამხედრო პროკურატურის წარმომადგენელის ცნობა იმის შესახებ, რომ ვ. ი. ლენინის სახელობის მეტალურგიულ კომბინატში დაპატიმრებულია „სოლიდარობის“ თავმჯდომარის მოადგილე ვინმე ხანძლიკი. მას ბრალად ედება საწარმოში გაფიცვის ორგანიზაციის წაქეზება ქვეყანაში სამხედრო წესების შემოღების შემდეგ, ანტისახელმწიფოებრივი ხასიათის ფურცლების გამოცემისადმი ხელმძღვანელობა.

***ᲑᲣᲜᲔᲑᲐ ᲞᲘᲠᲕᲔᲣᲚᲝᲑᲡ**

ᲡᲘᲪᲮᲚᲘᲡ ᲛᲡᲮᲕᲔᲠᲞᲚᲘ

ᲐᲗᲔᲜᲘ. 45-გრადუსიანი სიცხის გამო ათობით ადამიანი დაიღუპა საბერძნეთში. მარტო ათენსა და პირეაში ორ გამოსასვლელ დღეში 44 კაცი მოკვდა. სიკვდილის მიზეზი იყო აუტანელი სიცხის გამო გულის მოქმედების დარღვევა.

ᲛᲘᲬᲘᲡᲫᲠᲕᲐ

ᲑᲝᲜᲝ. რიხტერის შკალით ხუთი ბალის ძალის მიწისძვრა მოხდა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის დასავლეთ რაიონებში. მისი ეპიცენტრი ქალაქების კობლენცსა და ზიგენს შორის მდებარეობდა, იუწყება მაინრ ფონტფფურტის გეოფიზიკის ინსტიტუტი. მსხვერპლისა და ნგრევის თაობაზე არაფერს იუწყებიან. როგორც ეპიცენტრები აღნიშნავენ, ასეთი ძალის მიწისძვრა ფედერაციული გერმანიის დასავლეთ რაიონებში საკმაოდ იშვიათი მოვლენაა.

გზა ჭეშმარიტებისა

ახალგაზრდა კინორეჟისორის თ. ბაბლუანის სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ძმა“ ტალინის XV საკავშირო კინოფესტივალზე აღინიშნა პრიზითა და დიპლომით საუკეთესო დებიუტანტთან.

არიან ადამიანები, რომლებიც „მყუდროებას“ ვერ ეგუებიან ვერც ყოფაში და ვერც პროფესიულ საქმიანობაში. ასეთებს, ჩვეულებრივ, მიზანსწრაფვა, ხასიათის სიმტკიცე მოსდევთ. მათ არც ნებისყოფა, არც შემართება არ ღალატობთ დასახული მიზნის მისაღწევად. ასეთ ადამიანთა რიცხვს განეკუთვნებიან ახალგაზრდა კინორეჟისორი თემურ ბაბლუანი და მისი ახალი სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ძმის“ პერსონაჟები (სერგანის ატორი და დამდგმელი რეჟისორი — თ. ბაბლუანი, დამდგმელი ოპერატორი — ე. ანდრიაქესკი, დამდგმელი მხატვარი — ნ. ბაიდარაშვილი, კომპოზიტორი — ი. ბობოხიძე, კინოსტუდია „ქართული ფილმი“, პირველი შემოქმედებითი გაერთიანება, 1981 წ.).

თემურ ბაბლუანმა აქამდე მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ბელურების გადაფრენა“ შექმნა, რომელმაც მაყურებლისა და პროფესიული კრიტიკის აღიარება მოკა იმთავითვე. ამიტომ ანდეს სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმის „ძმის“ გადაღება, რომელსაც ფართო მაყურებელი უახლოეს მომავალში ნახავს.

ფილმის სიუჟეტი რთულ დროს ასახავს — რეგოლუციის წინა პერიოდს საქართველოში. მერაკუობენ ადამიანები სიახლის მოლოდინში. ისინი გრძნობენ ყოველივე ამას ცნობიერად თუ ქვეცნობიერად თუნდაც იმიტომ, რომ თვითონ ამ დროის მთავარი მოქმედი პირნი არიან და ამდენად დროის შემქმნელნიც. შეიძლება ამიტომაც „ზოგმა ალღო ვერ აუღო ვითარებას, ზოგმა ღუზა აუშვა და უკეთესი თავმოსაფრის ძიებას შეუდგა.

მხატვრული ფილმის „ძმის“ ორი პერსონაჟი გიო (მსახიობი ლევან თურმანიძე) და ბექარი (არჩილ სამხარაძე) ღვიძლი ძმები არიან. გიო უფროსია, უმცროსი, ბექარი, ფილმის თავიანი გმირია. გიო ვენეტიური და სოციალური ფონია უმცროსი ძმისა, რათა უფრო სრულყოფილად წარმოჩნდეს ფილმში ბექარის სალი, მძიმებელი სული.

დასაწყისშივე ბრკვევა, რომ გიოს საკუთარი გეზი ნათელი ეგოსა და კაცურადაც ემსახურებოდა ადამიანთა გარკვეული ჯგუფის იდეას, მათს სწრაფვას. მერე საკუთარი ხასიათის წყალობით, ჯგუფის წევრთა ორეროფუნობისა თუ ცხოვრებისეული გაუგებრობის მიზეზებით გიო თანამოაზრეებს გაეზიზღება, ცხენებზე ამხედრებული, ჩახმახშეყენებული თანამოსაქმენი არწმუნებენ საკუთარ თავსა და გიოს, რომ შეარღვი მუში გაწილ ხელზე უფრო მეტი ძალაა, მაგრამ ცხოვრებაზე, ხალხზე გულაყრილ გიოსაც თავისი დამაჯერებელი არგუმენტები აქვს ამ თეზისისა თუ კანონის უარსაყოფად. ასე გაეთიშა ამხანაგთა ჯგუფს, გული აიცრუა ყველაზე და ყველაფერზე და ძალადობით ეცადა ქეშმარიტების ძიებაზ-დადგენს.

უწინარეს ყოვლისა, გიო საკუთარ კერას მიადგა, ღრმად მოხტცებული მამა ინახულა, უმცროს ძმას ბექარს სათქმელი ეთქმოლა და მერე თანამოსაქმეობაზე დაიყოლია. ჯერაც ჩამოუყალიბებელი ფსიქეკის ბექარს ძალიან გაუჭირდა საყვარელი ძმის სამსახური. ნაბიჯ-ნაბიჯ, ფიფქივით, ბექარმა ქეშმარიტების გზას ვერა და ვერ მიაკვლია. რეაქციამ ვერ იყო და უფროსი ძმა გიო ინსტინქტზე, მერე ჯერი თუ ბედი ბექარს მიადგა ანგარიშის გასასწორებლად, ოღონ-დაც, უფროსი ძმისგან განსხვავებით, ბექარი უკეთესარი ძალას პირისპირ შეხედა.

ღირებული კინონაწარმოების შექმნა რეჟისორის გამოკვეთილ ხედვიდ-ფიდელობასთან, დაშუკადებელ ანზოგნებას და თვალთახედვას, შინაგან ექსპრესიას, მოგლენების ცალკეული მხარეების ჭვლიმას, მხატვრული ხატის ფორმირებას ემსარება, რეალისტურ ხერხს და მდიდარ ფანტაზიას გულისხმობს. მხატვრული ფილმის „ძმის“ დედაზრი გარკვეული ალტერნატივით ვლინდება, რომელიც დღეინიადგ მტკიცებას, დამკვიდრებას მოითხოვს. ფილმის იდეაში, მის მხატვრულ კატეგორიაში, გარკვეული თვალსაზრისით, შეიძლება დოსტოევსკის უკვდავი რომანის „ძმები კარამაზოვების“ ზეგავლენა იგრძნობოდეს. გიო და ბექარი რევოლუციამდელი საქართველოს, მაჟარიეთ ფაუდულერი, ჯანყიანი ყოფის მხატვრული ანარკეტია.

კინორეჟისორმა არც გიო და არც ბექარი „ისტორიის შემქმნელებად“ არ წარმოაჩინა ფილმში, ეს ჯერჯერობით აღემატება თვითონ კინორეჟისორისა და მისი გმირების შესაძლებლობებს. რეჟისორმა ამჯერად ისინი კინოხელოვნების „ობიექტებად“ დახატა. ფილმის მთავარ გმირთა დაპირსონაჟთა სახით, აზრის დრამატურგიულობით ხაზი გაესვა ზნეობის ძალასა და ცხოვრების ენებსა, რითაც რეჟისორისაგან გაცხადებული გმირები ცხოვრობენ ეკრანზე. ეს უკვე ოტა როდა ახალგაზრდა კინორეჟისორისაგის.

თ. ბაბლუანის ფილმში „ძმა“ ზოგიერთი კინოკადრი, სცენა თუ ეპიზოდი რეჟისორის სულიერი, პროფესიული, ეზიბავთ, მისი ერთპიროვნულობის პორტრეტია. ფილმში იგრძნობა თანამედროვე რეჟისურა, გამომსახველობითი ხერხების სიცოცხლისუნარიანობა. და მაინც მრავალგანზომილებიან მხატვრულ კინონაწარმოებში მხოლოდ რეჟისორის ტექნიკა, პროფესიული ოსტატობა, გამოსახვის ახალი ხერხები შეიძლება ნაკლებად მნიშვნელოვანი იყოს, თუ არა რეჟისორის მიერ კინომასალის საკუთარი გამოცდილებისა და თვალთახედვის არეში გატარება, ნაჯერი, რთული ასოციაციებით აზროვნება. „ძმაში“ იგრძნობა გამომსახველობითი ხერხების საშუალებების მკაცრი არჩევანი, ლეტალის მთლიანობასთან კავშირი და პირიქით; ჩანს, გემოვნება, ცხოვრების ძმაფრი განცდა, პლასტიკური გამოსახულება, იმდენად სრულად, დამაჯერებლად, ღრმად ილი წარმოდგენილი ფილმში, რომ მას ძალუძს იყოს ცხოვრებისავით მრავალსპექტრიანი, ყოველსმომვედი და ტევადი.

ფილმის ბოლო კადრებში ნადრეკი გაზაფხულის ნისლშეფენილი ციცარის ეკმი ეხატება. ირგვლივ აკაციან ჯერაც მბრალი თოვლი ძევს, ცხენსასთა რაზმი ფლოქვების თქარუნით ნორჩ ყლორტებიან ხეთა ტევრში გზას მიაკვლევს და იქით, მზის შუასხვედრად მიემართება. საგამოთავდო სხივი ძალოს და ნისლიც თანდათანობით იფანტება.

ახალგაზრდა კინორეჟისორი ფილმში პიროვნული კეთილშობილებით წარმოდგა. „ძმაში“ აზრისა და მხატვრულობის შინაგანი ძიებები ილანდება, ამ ძიებებში ხან თვალშისაცემი შენაძენია, ხანაც დანაკარგი. ბრძოლა, პაექრობა საკუთარ თავთან, მტკიცება და უარყოფა ფიქრისა, შეცნობა და ახლის აღმოჩენა ცხოვრებაში და კინოხელოვნებაზე, უკვე საკუთარი გზის გაკვალვის ნიშნავს.

თემურ ბაბლუანის ენერგიული კინემატოგრაფიული ნიჭი, ორგანულური აზროვნება ფილმში „ძმა“, ტრადიციული და ნოვატორული პრინციპების სიცოცხლისუნარიან, ანალიზებულ შერწყმას ემყარება და ამავე დროს წმინდა ეროვნული ხასიათისაა.

ა. გველესიანი.

სურათზე: ფილმ „ძმის“ კადრი, ბექარი — მსახიობი არჩილ სამხარაძე.

ფეხბურთელთა XII მსოფლიო ჩემპიონატის ცხრილი

მაგალითად, გათამაშების მეორე ეტაპის კიდევ ორი შეხვედრა. გთავაზობთ შედეგებს:

მატჩი № 39. „ც“ ჯგუფი. ბარსელონა. ინტერნაციონალი 2:1 (0:0). ბუთონი გიატანეს: იტალიელთაგან — ტარდელი (57-ე წუთზე) და კაბრინიმ (68-ე); არგენტინელთაგან — პასარელმ (83-ე).

მატჩი № 40. „ბ“ ჯგუფი. მადრიდი. გფრ-ინგლისი 0:0.

გთავაზობთ მეორე ეტაპის თამაშების მონაწილე გუნდების დანარჩენი კალენდარული მატჩების გრაფიკს:

„ა“ ჯგუფი. ბარსელონა. № 42. 1 ივლისი. სსრკ-ბელგია; № 46. 4 ივლისი. სსრკ-პოლონეთი. მატჩების დასაწყისი 24 საათზე (თბილისის დროით).

„ბ“ ჯგუფი. მადრიდი. № 44. 2. ივლისი. ესპანეთი-გფრ; № 48. 5 ივლისი. ესპანეთი-ინგლისი. დასაწყისი 24 საათზე.

„ც“ ჯგუფი. ბარსელონა. № 43. 2 ივლისი. ბრაზილია-არგენტინა; № 47. 5 ივლისი ბრაზილია-იტალია. დასაწყისი 20 საათსა და 15 წუთზე.

„დ“ ჯგუფი. მადრიდი. № 41. 1 ივლისი. ჩრდილოეთ ირლანდია-ავსტრია; № 45. 4 ივლისი. საფრანგეთი-ჩრდილოეთ ირლანდია; დასაწყისი 20 საათსა და 15 წუთზე.

● ●

სპორტნირო ორბიტა

რეგბი. განაგრძა საკავშირო ჩემპიონატი: მკითხველებმა იციან, რომ ფინალური ოქტეტები საქართველოს ორ კოლექტივს უნდა ეთამაშა — თბილისის „ლოკომოტივს“ და ქუთაისის „სახლ-შეზნს“. იმის გამო, რომ პირველი წრის მატჩი თბილისელებმა მოსკოვის „სლავასთან“ სთამაშოდ გამოიყვანეს დისკვალიფიცირებული რეგბისტი ფ. ზურაბიანი, რაენიგზელეს „სლავასთან“ დამარცხება ჩაეთვალოთ და ახლა ფინალურ ჯგუფში „ლოკომოტივის“ ადგილი ლენინგრადის „პრიმორეცმა“ დაიჭირა. გიმაპოთა ფინალური ორწრიანი ტურნირის პირველი შეხვედრები. ქუთაისის „სახლშეზნმა“ კიევში ადგილობრივ „ავიატორთან“ ითამაშა და დამარცხდა — 9:34. ახლა მოსკოვის „სლავას“ 24 შესაძლებლობად 22 ქულა აქვს და ლიდერობს. ქუთაისელებმა მოსკოვის „ფილისთან“ ერთად 14-14 ქულა დააგროვეს და მეხუთე-მეექვსე ადგილებს ინაწილებენ.

ველოსპორტი. იტალიაში დამთავრდა მრავალდღიანი ველორბოლა „ჯირო დ' იტალია“, ამ საერთაშორისო შეჯიბრების ბოლო, მეცამეტე ეტაპი მოიგო ტაშკენტელმა შახტე ზაგრეტდინოვმა. საერთო გუნდურ ჩათვლაში პირველობა მოიპოვეს საბჭოთა ველოსიპედისტებმა. 13 ეტაპის ჯამით პირად ასპარეზობაში უძლიერესი იყო იტალიელი ფრანჩესკო ჩეზარინი. კუთხშეველმა სერგი კრიგოშეევმა მეოთხე ადგილი დაიკავა.

ᲙᲘᲓᲝ-ᲓᲝ. კიევში დამთავრდა საბჭოთა არმიისა და სამხედროსაზღვაო ფლოტის სპორტსმენთა პირად-გუნდური ჩემპიონატი. ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის ძიუდოისტებმა თ. ყარიაულმა (71 კგ-მდე წონა), შ. ხაბარელმა (78 კგ), დ. ბოდაველმა (86 კგ) და ტ. თუთიბალმა (95 კგ) პირველი ადგილები მოიპოვეს. ბ. გოგიჩაიშვილმა (95 კგ) მესამე ადგილი დაიკავა. გუნდურ ჩათვლაში ამიერკავკასიელები მეოთხე ადგილზე გამოვიდნენ.

რედაქტორის მოადგილე
გ. ნაბუღლია.

საქართველოს მწერალთა კავშირი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ ხანგრძლივი და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ 72 წლისა გარდაიცვალა ცნობილი ქართველი მწერალი და მეცნიერი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
ᲓᲘᲓᲘᲠᲘ ᲑᲘᲠᲙᲝᲕᲘᲡ ᲫᲔ ᲑᲔᲚᲐᲕᲐᲠᲘᲚᲘ
და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

თბილისის ა. ს. პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის რექტორატი, პარტიული კომიტეტი, გაეროთიანებული პროფკომი, ქართული ლიტერატურის ისტორიის კათედრა ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ქართული ლიტერატურის ისტორიის კათედრის უოფილი გამგე, საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
ᲓᲘᲓᲘᲠᲘ ᲑᲘᲠᲙᲝᲕᲘᲡ ᲫᲔ ᲑᲔᲚᲐᲕᲐᲠᲘᲚᲘ
და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡ ნ. ᲛᲣᲡᲮᲔᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲰᲝᲚᲘᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘ

ᲐᲪᲮᲐᲓᲔᲑᲡ ᲡᲢᲣᲓᲔᲜᲢᲗᲐ ᲛᲘᲦᲔᲑᲐᲡ 1982-83 ᲡᲐᲡ�წᲐᲕᲚᲝ ᲬᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲤᲐᲙᲣᲚᲢᲔᲢᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲞᲔᲪᲘᲐᲚᲝᲑᲔᲑᲘᲡ:

ᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲐ ᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲘᲗ

ᲛᲝᲛᲬᲧᲔᲑᲘᲗ

ᲛᲐᲜᲥᲐᲜᲐᲗᲛᲔᲪᲜᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲤᲐᲙᲣᲚᲢᲔᲢᲘ: 1. კვების საწარმოთა მანქანები და აპარატები (ქართული სექტორი); 2. მხუთველი მრეწველობის მანქანები და აპარატები (ქართული სექტორი); 3. საშემდღვნელო წარმოების ტექნოლოგია და მოწყობილობა (ქართული სექტორი).

ᲐᲕᲢᲝᲛᲝᲑᲘᲚᲘᲡᲘᲐᲜᲘ ᲤᲐᲙᲣᲚᲢᲔᲢᲘ: 1. ავტომობილები და ტრაქტორები (ქართული სექტორი); 2. შიდაწვის ძრავები (ქართული სექტორი); 3. სამშენებლო და საგზაო მანქანები და მოწყობილობა (ქართული სექტორი).

ᲛᲔᲦᲔᲜᲘᲡ-ᲢᲔᲥᲜᲝᲚᲝᲒᲘᲣᲠᲘ ᲤᲐᲙᲣᲚᲢᲔᲢᲘ: 1. მანქანათმშენებლობის ტექნოლოგია, ლითონსაჭრელი ჩარხები და იარაღები (ქართული და რუსული სექტორები).

ᲥᲘᲛᲘᲣᲠᲘ-ᲢᲔᲥᲜᲝᲚᲝᲒᲘᲣᲠᲘ ᲤᲐᲙᲣᲚᲢᲔᲢᲘ: 1. პურის ცხობის, მაკარონისა და საკონდიტრო ნაწარმის ტექნოლოგია (ქართული სექტორი); 2. საზოგადოებრივი კვების ტექნოლოგია და ორგანიზაცია (ქართული და რუსული სექტორები); 3. ხის დამუშავების ტექნოლოგია (ქართული სექტორი); 4. გამომყვანი წარმოების ქიმიური ტექნოლოგია და მოწყობილობა (ქართული სექტორი).

ᲛᲘᲜᲐᲗᲣᲚᲘ ᲛᲠᲔᲬᲕᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲤᲐᲙᲣᲚᲢᲔᲢᲘ: 1. ნატურალური და ქიმიური ბოჭკოების დამოვა (ქართული სექტორი); 2. სატრიოტაჟი წარმოება (ქართული სექტორი); 3. მსუბუქი ლეგიონერული ნაკეთობათა ტექნოლოგია (ქართული სექტორი); 4. ტყავის ნაკეთობათა ტექნოლოგია (ქართული სექტორი); 5. ქსოვა (ქართული სექტორი).

ᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲐ ᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲘᲗ

ᲛᲝᲣᲬᲧᲔᲑᲘᲗᲚᲘᲕ

ᲡᲐᲚᲐᲛᲝᲡ ᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲘᲡ ᲤᲐᲙᲣᲚᲢᲔᲢᲘ:

1. მანქანათმშენებლობის ტექნოლოგია, ლითონსაჭრელი ჩარხები და იარაღები (ქართული სექტორი); 2. ᲐᲕᲢᲝᲛᲝᲑᲘᲚᲘ და ტრაქტორები (ქართული სექტორი).

ᲓᲐᲣᲡᲬᲠᲔᲑᲔᲚᲘ ᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲘᲡ ᲤᲐᲙᲣᲚᲢᲔᲢᲘ:

1. მანქანათმშენებლობის ტექნოლოგია, ლითონსაჭრელი ჩარხები და იარაღები; 2. საშემდღვნელო წარმოების ტექნოლოგია და მოწყობილობა; 3. ხის დამუშავების ტექნოლოგია; 4. კვების საწარმოთა მანქანები და აპარატები. 5. ნატურალური და ქიმიური ბოჭკოების დართვა; 6. სამკერვალო ნაკეთობათა ტექნოლოგია; 7. ტყავის ნაკეთობათა ტექნოლოგია; 8. ქსოვა.

ქუთაისის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში მიღების წესები ივრცელა, რაც სსრ კავშირის ყველა უმაღლეს ტექნიკურ სასწავლებელში. დღის სტაციონარზე შემსვლელები გამოცდებს აბარებენ შემდეგ დისციპლინებში: **მანქანათმშენებლობის, ავტომექანიკური და მექანიკა-ტექნოლოგიური ფაკულტეტებზე:** 1. მათემატიკა (ზეპირი), 2. ფიზიკა (წერა), 3. მათემატიკა (წერა), 4. მშობლიური ენა (წერა).

ქიმიურ-ტექნოლოგიურ და მხუთველი მრეწველობის ფაკულტეტებზე: 1. მათემატიკა (ზეპირი), 2. ფიზიკა (წერა), 3. ქიმია (წერა), 4. მშობლიური ენა (წერა).

სოფლის და დაუსწრებელი სწავლებელ ფაკულტეტებზე შემსვლელნი გამოცდებს აბარებენ იმავე საგნებში, რომლებშიც დღის სტაციონარის სათანადო სპეციალობებზე.

ოქროს (ვერცხლის) მედლით საშუალო სკოლის კურსდამთავრებულნი საშუალო სპეციალური ან პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის კურსდამთავრებულნი, რომელთაც მიღეს წარჩინების დიპლომი, აბარებენ გამოცდას მათემატიკაში (ზეპირი). გამოცდის „ხუთზე“ ჩაბარებისას ისინი თავისუფლდებიან მისაღები გამოცდების შემდგომი ჩაბარებისაგან.

შენიშვნა: მიმდინარე წელს ის აბიტურიენტები, რომელთაც საშუალო სკოლის ატესტატში, საშუალო სპეციალური და საშუალო პროფტექნიკური სასწავლებლის დიპლომებში არა აქვთ ნიშნები „სამი“ და ატესტატის (დიპლომის) საშუალო ქულა 4,5 და მეტია, პირველი ორი გამოცდის შედეგად 9 ან 10 ქულის მოგროვების შემთხვევაში ჩაირიცხებიან ინსტიტუტში შემდეგი გამოცდების ჩაუბარებლად. ეს ეხებათ აგრეთვე იმ მედალოსნებს და საშუალო სპეციალური და საშუალო პროფტექნიკური სასწავლებლის წარჩინების დიპლომის მქონე აბიტურიენტებს, რომელთაც პირველ გამოცდაზე მიიღეს შეფასება — „ოთხი“, ხოლო მეორეზე — „ხუთი“. მისაღები გამოცდები საგნებში მოიწყობა ზემოაღნიშნული თანამიდევრობით.

წარმოების მოწყვეტლივ სწავლებაზე პირველ რიგში ჩაირიცხებიან ის პირები, რომელთა სამუშაო შეესატყვისება უმაღლესში ამორჩეულ სპეციალობას, თუ ისინი ამ სპეციალობით მუშაობენ სულ ცოტა ექვსი თვის განმავლობაში; აგრეთვე საშუალო სპეციალურ და პროფტექნიკურ სასწავლებელ დამთავრებულნი, რომლებიც მონაფეობენ სპეციალობებზე შედგან, და თადარიგში დათხოვნილი სამხედრო მოსამსახურენი.

უმაღლეს სასწავლებელში შემსვლელებს შემოაქვთ შემდეგი სბუოები: განცხადება (დადგენილი ფორმით); საშუალო განათლების სბუოი (დედანი); სამუშაო ადგილიდან პარტიული, კომკავშირული, პროფკავშირული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების, კოლეტივნებობათა გამგეობების მიერ, ხოლო ზოგადსაგანათლებელო სკოლების კურსდამთავრებულთათვის — სკოლის ხელმძღვანელობისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ გაეცემული დახასიათება; სამედიცინო ცნობა (ფორმა № 286); ამონაწერი შრომის წიგნაკიდან (იმ პირთათვის, რომელთაც აქვთ პრაქტიკული მუშაობის სტაჟი), რომელიც დამოწმებულია საწარმოს ან დაწესებულების ხელმძღვანელობის მიერ, კოლმეურნეთათვის ამონაწერი საკოლმეურნეო წიგნაკიდან, რომელიც დამოწმებულია კოლმეურნეობის გაგეგობის მიერ და აღნიშნულია კოლმეურნეებისათვის კალენდარულ წელზე დაწესებული შრომადღეების მინიმუმი. საშუალო სკოლის დამთავრების მომდევნო წლებში უმაღლეს სასწავლებლებში შემსვლელებს, ჩვეულებრივ, უნდა ჰქონდეთ პრაქტიკული მუშაობის სულ მცირე 6 თვის სტაჟი ყოველი იმ წლისათვის, როცა არ სწავლობდნენ: ხუთი ფოტოსურათი (უქუდოდ, ზომა 3X4).

სასწავლებლის ნებისმიერ ფაკულტეტზე შემსვლელთათვის საბუთები მიიღება 31 ივლისის ჩათვლით ყოველდღე (გარდა კვირისა) 9-დან 16 საათამდე ინსტიტუტის შენობაში.

მისაღები გამოცდები იწყრმოებს 1982 წლის 1 აგვისტოდან 20 აგვისტომდე, ჩარიცხვა — 21 აგვისტოდან 25 აგვისტომდე. ჩარიცხულნი ვალდებულნი არიან რეგისტრაციაში გატარდნენ 1982 წლის 30 აგვისტომდე. რეგისტრაცია იწყრმოებს შესაბამისი ფაკულტეტების დეკანატებში.

დაუსწრებელი სწავლების სპეციალობაზე — „ნატურალური და ქიმიური ბოჭკოების დართვა“, „სამკერვალო ნაკეთობათა ტექნოლოგია“, „ტყავის ნაკეთობათა ტექნოლოგია“ და „ქსოვა“ საბუთების მიღება გაგრძელდება 28 აგვისტოდან 27 აგვისტოს ჩათვლით თბილისში პოლიტექნიკური ტექნიკუმის შენობაში (უბანი ჩხეიძის ქუჩა № 8), ხოლო გამოცდები იწყრმოებს 28 აგვისტოდან 11 სექტემბრამდე იმავე მისამართით.

მისაღები გამოცდები მოიწყობა ინ პროგრამებით, რომლებიც დამტკიცებულია სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს მიერ საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების პროგრამის შესაბამისად.

არჩეული სპეციალობისადმი მიდრეკილების გამოვლინების მიზნით აბიტურიენტებთან მოეწყობა გასაუბრება.

კონკურსი გაიმართება მონათესავე სპეციალობათა მიხედვით:

მანქანათმშენებლობის, ავტომექანიკის და მექანიკა-ტექნოლოგიის ფაკულტეტებზე — ერთად.

ქიმიურ-ტექნოლოგიური და მხუთველი მრეწველობის ფაკულტეტებზე — ერთად.

საღამოსა და დაუსწრებელი სწავლების ფაკულტეტებზე კონკურსი გაიმართება სპეციალობის მიხედვით.

ინსტიტუტის მასწავლებლები ივნისსა და ივლისში ყოველდღიურად ინსტიტუტში გამართავენ ლექციათ-სემინარებსა და კონსულტაციებს საგამოცდო საგნებში.

მისაღები გამოცდების ორგანიზაციის სრულყოფის მიზნით ინსტიტუტის სწავლის მეცნიერული ორგანიზაციის ლაბორატორიამ შექმნა და პრაქტიკაში დანერგა ავტოინფორმატორი. ყოველდღიურად ტელეფონით 5-05-18 შეიძლება ცნობების მიღება გამოცდებთან დაკავშირებით.

ინსტიტუტის მისამართია: ქუთაისი, ახალგაზრდობის პროსპექტი 62.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲣᲑᲢᲠᲝᲞᲘᲙᲣᲚᲘ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘ

ᲐᲪᲮᲐᲓᲔᲑᲡ ᲡᲢᲣᲓᲔᲜᲢᲗᲐ ᲛᲘᲦᲔᲑᲐᲡ 1982-83 ᲡᲐᲡ�წᲐᲕᲚᲝ ᲬᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲤᲐᲠᲛᲝᲔᲑᲘᲡᲐ ᲛᲝᲬᲧᲔᲑᲘᲗ (ᲓᲦᲘᲡ ᲓᲐᲜᲘᲨᲜᲣᲚᲘᲗᲐ) ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲤᲐᲙᲣᲚᲢᲔᲢᲔᲑᲖᲔ:

1. **სუბტროპიკული მეურნეობის ფაკულტეტზე:** სპეციალობა — აგრონომია სწავლული აგრონომის კვალიფიკაციით. სპეციალიზაციები — სუბტროპიკული მემცენარეობა (ქართული და რუსული სექტორები), დეკორაციული მებაღეობა (ქართული სექტორი), აგრომელიორაცია (ქართული სექტორი);

2. **სუბტროპიკული კულტურების ტექნოლოგიის ფაკულტეტზე:** სპეციალობა — სუბტროპიკული კულტურების ტექნოლოგია ინჟინერ-ტექნოლოგის კვალიფიკაციით (ქართული და რუსული სექტორები);

3. **სოფლის მეურნეობის მექანიზაციის ფაკულტეტზე:** სპეციალობა — სოფლის მეურნეობის მექანიზაცია ინჟინერ-მექანიკოსის კვალიფიკაციით (ქართული და რუსული სექტორები);

ინსტიტუტში შემსვლელნი არჩეული სპეციალობის შესაბამისად მისაღებ გამოცდებს აბარებენ შემდეგ საგნებში:

1. **სუბტროპიკული მეურნეობის ფაკულტეტზე** (სუბტროპიკული მემცენარეობა, დეკორაციული მებაღეობა, აგრომელიორაცია) — ბიოლოგიაში (ზეპირი)*, ფიზიკაში (წერა), ქიმიაში (ზეპირი);

2. **სუბტროპიკული კულტურების ტექნოლოგიის ფაკულტეტზე** — მათემატიკაში (წერა),* ქიმიაში (ზეპირი), ფიზიკაში (ზეპირი).

3. **სოფლის მეურნეობის მექანიზაციის ფაკულტეტზე** — მათემატიკაში (წერა*, ზეპირი), ფიზიკაში (ზეპირი).

ყველა შემსვლელი აბარებს წერითს გამოცდას თხზულების სახით: ქართულ სექტორზე — ქართულ ენასა და ლიტერატურაში, რუსულ სექტორზე — რუსულ ენასა და ლიტერატურაში.

იმ პირებს, რომელთაც რუსული ენა საშუალო სასწავლებელში ისწავლეს ეროვნული სკოლის პროგრამის მოცულობით ანდა ის ენა, რომელზეც უმაღლესში წარმოებს სწავლა, ისწავლეს როგორც ზოგადსაგანმანათლებელო საგანი, შეუძლიათ, მათი არჩევანის მიხედვით, თხზულების ნაცვლად წერონ კარნახი ან შინაარსი.

ოქროს (ვერცხლის) მედლით საშუალო სკოლადამთავრებულნი, საშუალო სპეციალური ან პროფტექნიკურ სასწავლებელდამთავრებულნი, რომელთაც მიიღეს წარჩინების დიპლომი, აბარებენ გამოცდას ერთ-ერთ საგანში, რომელიც ტექსტში აღნიშნულია ვარსკვლავით. გამოცდის „ხუთზე“ ჩაბარებისას ისინი თავისუფლდებიან მისაღები გამოცდების შემდგომი ჩაბარებისაგან, ხოლო „ოთხის“ ან „სამის“ მიღებისას აბარებენ გამოცდას ყველა შესაბამის საგანში.

საშუალო სპეციალური სასწავლებელდამთავრებულნი წარმოების მოწყვეტით სწავლებაზე მიიღებიან, თუ მათ აქვთ სასწავლებლის დამთავრების შემდეგ პრაქტიკული მუშაობის არანაკლებ ხამი წლის სტაჟი. აღნიშნული სტაჟი არ მოეთხოვებათ იმ პირებს, რომელთაც სასწავლებელი დაამთავრეს წარმოების მოუწყვეტლივ ან წარმოებას მოუწყვეტლივ, თუ მათ მიიღეს წარჩინების დიპლომი და შეუფასებია ყველა სავალდებულო საგანი „ფრიადი“ და „კარგი“ შეფასებით, ჩაბარა სახელმწიფო გამოცდები ან დაიცვა დიპლომი ოგივე შეფასებით და აქვს რეკომენდაცია ტექნიკუმის (სასწავლებლის) პედაგოგიური საბჭოს მიერ დღის სწავლებაზე შესაბამისი სპეციალობის მიხედვით შესასვლელად.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1980 წლის 11 აპრილის № 296 დადგენილებით დამტკიცებული დებულების შესაბამისად, დღის სწავლების. საშუალო პროფტექნიკურ და ტექნიკურ სასწავლებელდამთავრებულნი, რომელთაც მიღებული აქვთ ყველა საგანში „ფრიადი“ და „კარგი“ შეფასება, წარმატებით ჩაბარებული აქვთ საკვალიფიკაციო გამოცდები და რეკომენდირებული არიან სასწავლებლის პედაგოგიური საბჭოს მიერ გამოშვების 10 პროცენტის ანგარიშზე, უმაღლეს სასწავლებლის დღის განყოფილებაზე შესაბამისი სპეციალობის მიხედვით შესასვლელად მიიღებიან უშუალოდ სასწავლებლის დამთავრების შემდეგ.

მისაღები გამოცდები გაიმართება სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს მიერ 1982 წელს დამტკიცებული მიღების წესებისა და პროგრამის მიხედვით.

განცხადება მიღების შესახებ უნდა შემოიტანოთ ინსტიტუტის რექტორის სახელზე.

განცხადებას თან ერთვის: საშუალო განათლების დოკუმენტი (დედანი); დახასიათება უმაღლეს სასწავლებლებში შესასვლელად (დამოწმებული საწარმოს ან დაწესებულების ადმინისტრაციის მიერ); ამონაწერი შრომის წიგნაკიდან (მომუშავეთათვის); სამედიცინო ცნობა (ფორმა № 286), ოთხი ფოტოსურათი (დადგებული უქუდოდ, ზომა 3X4 სმ).

ინსტიტუტში შემსვლელი პირადად წარადგენს პასპორტს, სამხედრო ბილეთს (თადარიგის სამხედროვალდებულნი) ან მოწმობას მიწერის შესახებ გაწვევის უბანზე (გასაწვევი ასაკის პირი).

შემსვლელნი უკანასკნელი სამუშაო ადგილიდან წარმოადგენენ დახასიათებას, რომელსაც ძალეენენ პარტიული, კომკავშირული, პროფკავშირული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციები, წარმოების, დაწესებულების, ორგანიზაციის ხელმძღვანელები, კოლმეურნეობათა გამგეობები.

იმ პირებს, რომელთაც არა აქვთ პრაქტიკული მუშაობის ორი წლის სტაჟი, შეუძლიათ წარადგინონ დახასიათება, რომელსაც გასცემს ის სკოლებისა და სხვა სასწავლებლების ხელმძღვანელები, სადაც ისინი სწავლობდნენ.

სსრ კავშირის შეიარაღებული ძალებიდან თადარიგში დათხოვნილთათვის აუცილებელი არ არის წარადგინონ დახასიათება სამხედრო ნაწილის ხელმძღვანელობისაგან.

ის პირები, რომელთაც აქვთ არანაკლებ ორი წლის პრაქტიკული მუშაობის სტაჟი, აგრეთვე წარმოებას მოწყვეტით სწავლებაზე მოვლინებულნი, განცხადების შეტანისას წარმოადგენენ წარმოების ან დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ დამოწმებულ ამონაწერს შრომის წი